

დანართი II

შემდეგი სუბიექტები უნდა იქნეს მიჩნეული გადასახადებისაგან გათავისუფლებულბენეფიციარ მესაკუთრეებად ან შესაბამისად ჩათვლილ ფინანსებად მრეწველობისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, და შემდეგი ანგარიშები უნდა გამოირიცხოს ფინანსური ანგარიშებისგანსაზღვრებიდან.

დანართი II შეიძლება, შეიცვალოს საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებსა და შეერთებულ შტატებს შორის წერილობით გაფორმებული, ორმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე: (1) იმისათვის რომ, მოიცვას დამატებითი სუბიექტები და ანგარიშები, რომელთაც აქვთ დაბალი რისკი იმისა, რომ გამოყენებულნი იქნენ შეერთებული შტატების პირების მიერ გადასახადებისათვის თავიდან არიდებისთვის და რომელთაც აქვთ შეთანხმების ხელმოწერის თარიღისთვისამ დანართ II-ში ჩამოთვლილი სუბიექტებისა და ანგარიშების მსგავსი მახასიათებლები; ან (2) რათა ამოღებულ იქნეს ის სუბიექტები და ანგარიშები, რომლებიცარემოებების ცვლილების გამო, აღარ წარმოადგენენ აშშ პირის მიერ გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით გამოყენების დაბალი რისკის მქონეს. ნებისმიერი ასეთი დამატება ან ამოღება უნდა იყოს ძალაში შესული ორმხრივი გადაწყვეტილების ხელმოწერის თარიღისთვის, თუ აქ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთი ორმხრივი გადაწყვეტის მიღწევის პროცედურა შესაძლოა მოცემული იყოს შეთანხმების პარაგრაფი 3-ისპარაგრაფი 6-ით გათვალისწინებულ ორმხრივშეთანხმებაში ან ორმხრივად მიღებულ ზომებში.

I. გადასახადებისაგან გათავისუფლებული სხვა ბენეფიციარი მესაკუთრეები გარდა ფლდებისა. შემდეგი სახის სუბიექტები უნდა იქნეს მიჩნეული ანგარიშის არ წარმდგენ საქართველოს ფინანსურ დაწესებულებებად და გადასახადებისაგან გათავისუფლებულ ბენეფიციარ მესაკუთრეებად შეერთებული შტატების შინაგანი შემოსავლების სამსახურის კოდექსის განყოფილებების 1472-ისა და 1471-ისმიზნებისთვის, გარდა იმ გადახდისა, რომელიც გამომდინარეობს კონკრეტული ტიპის იმ კომერციულფინანსურაქტივობებთან დაკავშირებული ვალდებულებებისგან, რომლებიც ჩართულია სპეციფიცირებული სადაზღვევო კომპანიის, სამეურვეო დაწესებულების ან სადეპოზიტო დაწესებულების მიერ.

ა. სამთავრობო სუბიექტი. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ნებისმიერი პოლიტიკური ქვედანაყოფი (რომელიც მოიცავს შტატს, პროვინციას, საგრაფოს, ან მუნიციპალიტეტს) ან საქართველოს ნებისმიერი სრულ საკუთრებაში არსებული სააგენტო ან ხელშეწყობი ორგანო; ან ნებისმიერი ერთი ან მეტი ზემოთხსენებული სუბიექტი საქართველოს სამთავრობო სუბიექტი“. ეს კატეგორია შედგება საქართველოს განუყოფელი ნაწილებისგან, კონტროლირებადი სუბიექტებისა და პოლიტიკური ქვედანაყოფებისგან.

1. საქართველოს განუყოფელი ნაწილი აღნიშნავს ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას, სააგენტოს, ბიუროს, ფონდს, ხელშემწყობ ორგანოსან სხვა ორგანოს, როგორც არ უნდა იყოს დანიშნული, რომელიც შეადგენს საქართველოს მმართველ ორგანოს. მმართველი ორგანოს წმინდა შემოსავლიკრედიტირებულ უნდა იქნეს მის პირად ანგარიშზე ან საქართველოს სხვა ანგარიშებზე, რომლებსაც არ მოაქვს სარგებელი სხვა კერძო პირისთვის. განუყოფელი ნაწილი არ მოიცავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც არის მმართველი, თანამდებობის პირი ან ადმინისტრატორი, რომელიც მოქმედებს კერძო პირის სტატუსით ან პირადი გათვითცნობიერების საფუძველზე.
 2. კონტროლირებადი სუბიექტი გულისხმობს ისეთ სუბიექტს, რომელიც ფორმალურად განცალკევებულია საქართველოსგან ან, რომელიც სხვაგვარად შეადგენს ცალკეულ იურიდიულ პირს იმ პირობით, რომ:
 - ა) სუბიექტიერთი ან რამოდენიმე საქართველოს სამთავრობო სუბიექტის ან სხვა ერთი ან მეტი კონტროლირებადი სუბიექტისსრულ უშუალო საკუთრებაშია და მის მიერ გაკონტროლებულია.
 - ბ) სუბიექტის წმინდა მოგება კრედიტირებულია მის ანგარიშზე ან ერთი ან მეტი საქართველოს სამთავრობო სუბიექტის ანგარიშებზე, რომელთაც არ მოაქვს სარგებელი სხვა კერძო პირისთვის; და
 - გ) დაშლის შემთხვევაში, სუბიექტის აქტივები გადაეცემა საქართველოს ერთ ან მეტ სამთავრობო სუბიექტს.
 3. შემოსავალი არ გამოიყენება კერძო პირების სასარგებლოდ, თუ ასეთი პირები სამთავრობო პროგრამის ჩაფიქრებული ბენეფიციარები არიან და პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება საზოგადოების კეთილდღეობისთვის ან დაკავშირებულია მთავრობის ადმინისტრირების რომელიმე ფაზასთან. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შემოსავალი გამოიყენება კერძო პირების სასარგებლოდ, თუ შემოსავალი მიღებულია სამთავრობო სუბიექტის კომერციული საქმიანობიდან, როგორცაა კომერციული საბანკო ბიზნესი, რომელიც ფინანსურ მომსახურებას უწევს კერძო პირებს.
- ბ. საერთაშორისო ორგანიზაცია. ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია ან მთლიან საკუთრებაში მყოფი სააგენტო ან მისი საშუალება. ეს კატეგორია მოიცავს ნებისმიერ მთავრობათაშორის ორგანიზაციას (მათ შორის ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციას) (1) რომელიც ძირითადად შედგება არა ა.შ.შ. მთავრობებისგან; (2) რომელსაც აქვს მოქმედი სამტაბო ხელშეკრულება საქართველოსთან და (3) რომლის შემოსავალი არ გამოიყენება კერძო პირების სასარგებლოდ.
- გ. ცენტრალური ბანკი, დაწესებულება, რომელიც კანონის ან მთავრობის სანქციის შესაბამისად წარმოადგენს მთავარ ორგანოს, გარდა საქართველოს მთავრობისა და გასცემს

ინსტრუმენტებს, რომლებიც გამიზნულია ვალუტის სახით ბრუნვისთვის. ასეთ დაწესებულებაში შესაძლოა შედიოდეს ხელშემწყობი ორგანო, რომელიც განცალკევებულია საქართველოს მთავრობისგან, იქნება ეს სრულად ან ნაწილობრივ საქართველოს საკუთრებაში.

II. ფონდი, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც გადასახადისგან გათავისუფლებული მოსარგებლე მესაკუთრეები. შემდეგი სუბიექტები ჩაითვლება როგორც ანგარიშის არ წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება და გადასახადისგან გათავისუფლებული მოსარგებლე მესაკუთრეებად შეერთებული შტატების შინაგანი შემოსავლების სამსახურის კოდექსის განყოფილებების 1471 და 1472 მიზნებისათვის.

ა. ფართო მონაწილეობის საპენსიო ფონდი. საქართველოში დაფუძნებული ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს საპენსიო, შეზღუდული შესაძლებლობის ან გარდაცვალების სარგებელს ან მათ ნებისმიერ კომბინაციას იმ ბენეფიციარებზე, ვინც ამჟამად არიან ან წარსულში იყვნენ დასაქმებულები (ან ასეთი დასაქმებულების მიერ დასახელებული პირები) ერთ ან რამდენიმე დამსაქმებელთან, გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ ფონდს:

1. არ ჰყავს არცერთი ბენეფიციარი, რომელსაც ფონდის აქტივების 5-ზე მეტ პროცენტზე აქვს უფლება;

2. ექვემდებარება მთავრობის მიერ დარეგულირებას და საქართველოში არსებულ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს აწვდის წლიურ საინფორმაციო ანგარიშს ბენეფიციარების შესახებ და

3. აკმაყოფილებს შემდეგი მოთხოვნებიდან ერთს მაინც:

ა) ფონდი, ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გათავისუფლებულია გადასახადებისგან საქართველოში, ინვესტიციის შემოსავალში მისი საპენსიო ან საპენსიო გეგმის სტატუსის გამო;

ბ) ფონდი შენატანების სრული ოდენობის მინიმუმ 50 პროცენტს იღებს დამფინანსებელი დამსაქმებლებისგან (გარდა ამ განყოფილების პარაგრაფებში „ა“-დან „გ“-მდე აღწერილი სხვა გეგმებიდან აქტივების ტრანსფერებისა ან II დანართის V განყოფილების ქვეპარაგრაფ „ა“(1)-ში აღწერილი პენსიაზე გასვლის და საპენსიო ანგარიშებიდან);

გ) ფონდიდან გადახდების წარმოება ან ფონდიდან თანხის გატანა ნებადართულია მხოლოდ პენსიის, შეზღუდული შესაძლებლობის ან გარდაცვალების დადგომასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევებში (გარდა სხვა საპენსიო ფონდის რეფინანსირების გადახდისას, რომელიც აღწერილია ამ განყოფილების

პარაგრაფ „ა“-დან „გ“-მდე, ან დანართი II-ის V განყოფილების ქვეპარაგრაფ „ა“(1)-ში აღწერილი პენსიაზე გასვლის და საპენსიო ანგარიშებიდან), ან ჯარიმები გამოიყენება ასეთი კონკრეტული შემთხვევების დადგომამდე გადახდის ან გატანისას; ან

დ) დასაქმებულთა მიერ ფონდში გაკეთებული შენატანი (გარდა რიგი დაშვებული დაფარვის შენატანისა) შეზღუდულია დასაქმებულის გამომუშავებული შემოსავლის შესაბამისად ან არ უნდა აღემატებოდეს წლიურად 50000 აშშ დოლარს, დანართი I-ით გათვალისწინებული ანგარიშის აგრეგაციის და ვალუტის კურსის სხვაობის წესების თანახმად.

ბ. ვიწრო მონაწილეობის საპენსიო ფონდი, საქართველოში საპენსიო, შეზღუდული შესაძლებლობების ან გარდაცვალების სარგებლის იმ ბენეფიციარებზე, ვინც ამჟამად არიან ან წარსულში იყვნენ დასაქმებულები (ან ასეთი დასაქმებულების მიერ დასახელებული პირები) ერთ ან რამდენიმე დამსაქმებელთან, გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებული ფონდი, იმ პირობით, რომ:

1. ფონდს ჰყავს 50 წევრზე ნაკლები;
2. ფონდი ფინანსდება ერთი ან მეტი დამსაქმებლის მიერ, რომელიც არ არის საინვესტიციო სუბიექტი ან პასიური ეროვნული ფედერაციის ფედერალური დასაქმებული;
3. დასაქმებულის ან დამსაქმებლის შენატანი ფონდში (გარდა ამ განყოფილების პარაგრაფ დანართი II-ის V განყოფილების ქვეპარაგრაფ „ა“(1)-ში აღწერილი პენსიაზე გასვლის და საპენსიო ანგარიშებიდან) შეზღუდულია დასაქმებულის მოპოვებული შემოსავლის და კომპენსაციის შესაბამისად;
4. მონაწილეები, რომლებიც არ არიან საქართველოში რეზიდენტები, არ არიან უფლებამოსილნი ფონდის აქტივების 20 პროცენტზე მეტზე; და
5. ფონდი ექვემდებარება მთავრობის მიერ დარეგულირებას და ბენეფიციარების შესახებ წლიურ საინფორმაციო ანგარიშს აწვდის შესაბამის საგადასახადო ორგანოებს საქართველოში.

ბ. გადასახადებისაგან გათავისუფლებული ბენეფიციარი მესაკუთრების საპენსიო ფონდი, საქართველოში გადასახადებისგან გათავისუფლებული ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ დაფუძნებული ფონდი, რომელიც პენსიაზე გასვლის, საპენსიო, შეზღუდული შესაძლებლობების ან გარდაცვალების სარგებლით უზრუნველყოფს იმ ბენეფიციარებს ან მონაწილეებს, ვინც ამჟამად არიან ან წარსულში იყვნენ დასაქმებულები (ან ასეთი დასაქმებულების მიერ დასახელებული პირები) გადასახადებისგან გათავისუფლებულ მოსარგებლე მესაკუთრესთან, ან არ არიან ან წარსულში არ იყვნენ დასაქმებულები, თუ ამ ბენეფიციარ ან მონაწილეთათვის გაცემული სარგებელი გათვალისწინებულია

გადასახადებისგან გათავისუფლებულ ბენეფიციარ მესაკუთრისთვის გაწეული პირადი მომსახურებების შესაბამისად.

- დ. გადასახადებისგან გათავისუფლებული ბენეფიციარი მესაკუთრეების სრულ საკუთრებაში არსებული საინვესტიციო სუბიექტი, სუბიექტი, რომელიც არის საქართველოს ფინანსური დაწესებულება მხოლოდ იმიტომ, რომ ის საინვესტიციო სუბიექტია, იმ პირობით, რომ სუბიექტში კაპიტალის პროცენტის თითოეული პირდაპირი მფლობელი გადასახადებისგან გათავისუფლებული მოსარგებლე მესაკუთრეა და ასეთ სუბიექტში სადებეტო კაპიტალის პროცენტის თითოეული პირდაპირი მფლობელი ან სადეპოზიტო დაწესებულებაა (ასეთ სუბიექტზე გაცემულ სესხთან დაკავშირებით) ან გადასახადებისგან გათავისუფლებული მოსარგებლე მესაკუთრეა.

III. მცირე ან შეზღუდული მასშტაბის ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც ითვლება შესაბამის ფინანსებად მრეწველობისთვის, შემდეგი ფინანსური დაწესებულებები საქართველოს ანგარიშის არ წარმდგენენ ფინანსური დაწესებულებებია, რომლებიც ითვლება შესაბამის ფინანსებად მრეწველობისთვის შეერთებული შტატების შინაგანი შემოსავლების სამსახურის კოდექსის განყოფილება 1471-ის მიზნებისთვის.

- ა. ფინანსური დაწესებულება ადგილობრივ კლიენტთა ბაზით, ფინანსური დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ფინანსური დაწესებულება ლიცენზირებული და რეგულირებულია, როგორც ფინანსური დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ფინანსურ დაწესებულებას არ უნდა ჰქონდეს ბიზნესის ფიქსირებული მდებარეობა საქართველოს გარეთ. ამ მიზნით ბიზნესის ფიქსირებული მდებარეობა არ მოიცავს მდებარეობას, რომელიც არ რეკლამირდება საჯაროდ და რომლიდანაც ფინანსური დაწესებულება მხოლოდ ადმინისტრაციული მხარდაჭერის ფუნქციას ახორციელებს;
3. ფინანსურ დაწესებულებას არ უნდა ჰყავდეს კლიენტები ან ანგარიშის მფლობელები საქართველოს გარეთ. ამ მიზნით ფინანსურ დაწესებულებას არ უნდა ჰყავდეს კლიენტები და ანგარიშის მფლობელები საქართველოს გარეთ, რადგან ფინანსური დაწესებულება (ა) მართავს ვებგვერდს. იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდი კონკრეტულად არ განმარტავს, რომ ფინანსური დაწესებულება უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშებით ან მომსახურებებით არარეზიდენტებს და სხვა მხრივ არ არის მიმართული შეერთებული შტატების კლიენტებზე ან ანგარიშის მფლობელებზე ან (ბ) უწევს რეკლამირებას ბეჭდურ მედიაში ან რადიო ან ტელევიზიის საშუალებით, რომელიც ვრცელდება ან გადაიცემა, ძირითადად, საქართველოს ფარგლებში, მაგრამ შემთხვევით შუქდება სხვა ქვეყნებში, იმ პირობით, რომ რეკლამა ნათლად არ განმარტავს, რომ ფინანსური დაწესებულება უწევს ფინანსურ ანგარიშს ან

მომსახურებას არა რეზიდენტებს და სხვა მხრივ არ არის მიმართული შეერთებული შტატების კლიენტებზე ან ანგარიშის მფლობელებზე;

4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსურ დაწესებულებას მოეთხოვება განსაზღვროს რეზიდენტი ანგარიშის მფლობელები, საინფორმაციო ანგარიშისთვის ან რეზიდენტის ფინანსური ანგარიშის შესაბამისი გადასახადის ამოსაღებად ან საქართველოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
5. ფინანსური დაწესებულების მიერ ღირებულებით შენახული ფინანსური ანგარიშების მინიმუმ 98 პროცენტი უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტების მფლობელობაში (მათ შორის, სუბიექტი რეზიდენტები);
6. 2014 წლის 1 ივლისიდან, ან ამ თარიღამდე დროის მონაკვეთიდან მოყოლებული, ფინანსურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება დანართ I-ს, რათა ფინანსურმა დაწესებულებამ თავიდან აიცილოს არამონაწილე ფინანსური დაწესებულებისთვის ფინანსური ანგარიშის უზრუნველყოფა და გაუწიოს მონიტორინგი, ხსნის თუ არა და ინარჩუნებს თუ არა ფინანსურ ანგარიშს ფინანსური დაწესებულება რომელიმე სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირისთვის, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი (მათ შორის სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირი, რომელიც იყო საქართველოს რეზიდენტი, როდესაც ფინანსური ანგარიში გაიხსნა, მაგრამ შემდგომ შეწყვიტა საქართველოს რეზიდენტობა, ან პასიური ეროვნული ფედერაციის ფედერალური დასაქმებული მაკონტროლებელი პირებისთვის, რომლებიც შეერთებული შტატების რეზიდენტები არიან ან შეერთებული შტატების მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ არიან საქართველოს რეზიდენტები;
7. ასეთ პოლიტიკასა და პროცედურებში უნდა იყოს მოცემული, რომ თუ მოხდა იდენტიფიცირება, რომ ფინანსური ანგარიში ეკუთვნის სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირს, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი ან პასიური ეროვნული ფედერაციის ფედერალური დასაქმებულს მაკონტროლებელი პირებით, რომლებიც შეერთებული შტატების რეზიდენტები ან შეერთებული შტატების მოქალაქეები არიან, ვინც არ არიან საქართველოს რეზიდენტები, ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა მოახსენოს ასეთი ფინანსური ანგარიშის თაობაზე, ისე როგორც ეს საჭირო იქნებოდა ფინანსური დაწესებულება ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება (მათ შორის, შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე არსებული გამოსაყენებელი სარეგისტრაციო მოთხოვნების შესაბამისი) რომ ყოფილიყო ან დახუროს ასეთი ფინანსური ანგარიში;
8. საქართველოს არა რეზიდენტი პირის ან სუბიექტის კუთვნილ წინასწარ არსებულ ანგარიშთან დაკავშირებით, ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა განიხილოს წინასწარ

არსებული ანგარიშები დანართ I-ში მოცემული პროცედურების შესაბამისად, რომელიც ეხება წინასწარ არსებულ ანგარიშებს, რათა განსაზღვროს შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიში ან ფინანსური ანგარიში, რომელიც ეკუთვის არამონაწილე ფინანსურ დაწესებულებას და უნდა მოახსენოს ასეთი ფინანსური ანგარიშის თაობაზე, ისე როგორც ეს საჭირო იქნებოდა ფინანსური საქადაწესებულება ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება (მათ შორის, შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე არსებული გამოსაყენებელი სარეგისტრაციო მოთხოვნების შესაბამისი) რომ ყოფილიყო ან დახუროს ასეთი ფინანსური ანგარიში.

9. ფინანსური დაწესებულების თითოეული დაკავშირებული სუბიექტი, რომელიც ფინანსური დაწესებულებაა, შექმნილი ან ორგანიზებული უნდა იყოს საქართველოში და დანართი II-ის განყოფილება II-ის პარაგრაფებში „ა“-დან, „გ“-მდე მოცემული გამონაკლისის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ნებისმიერ დაკავშირებულ სუბიექტს, რომელიც პენსიაზე გასვლის ფონდია, აკმაყოფილებს ამ პარაგრაფ „ა“-ში ხსენებულ მოთხოვნებს; და
10. ფინანსურ დაწესებულებას არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკა ან პრაქტიკა, რომელიც მოახდენს სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირების და საქართველოს რეზიდენტების დისკრიმინირებას, ამ ინდივიდების მიერ ფინანსური ანგარიშების გახსნის ან შენახვის წინააღმდეგ.

ბ. ადგილობრივი ბანკი. ფინანსური დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ფინანსური დაწესებულება მოქმედებს მხოლოდ როგორც (და ლიცენზირებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით) (ა) ბანკი ან (ბ) საკრედიტო კავშირი ან მსგავსი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს მოგების გარეშე;
2. ფინანსური დაწესებულების საქმიანობა ძირითადად შედგება, ბანკთან მიმართებაში, საცალო კლიენტებისგან მიღებული დეპოზიტისა და გაცემული სესხებისგან და, საკრედიტო კავშირთან ან მსგავს კოოპერატიულ საკრედიტო ორგანიზაციასთან, წევრებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ არცერთ წევრს არ აქვს ხუთ პროცენტზე მეტი წილი ასეთ საკრედიტო კავშირში ან კოოპერატიულ საკრედიტო ორგანიზაციაში;
3. ფინანსური დაწესებულება აკმაყოფილებს ამ ნაწილის „ა“(2) და „ა“(3) ქვეპარაგრაფში მოცემულ მოთხოვნებს, იმ პირობით, რომ ვებგვერდი არ უშვებს ფინანსური ანგარიშის გახსნას, გარდა ამ ნაწილის „ა“(3) ქვეპარაგრაფში მოცემული შეზღუდვებისა ვებგვერდთან დაკავშირებით;
4. ფინანსურ დაწესებულებას არ აქვს 175 მილიონ ა.შ.შ. დოლარზე მეტი აქტივი ბალანსზე და ფინანსურ დაწესებულებას და ნებისმიერ დაკავშირებულ სუბიექტს

ერთად არ აქვს 500 მილიონ ა.შ.შ. დოლარზე მეტი აქტივი მათ კონსოლიდირებულ ან გაერთიანებულ ბალანსზე; და

5. ნებისმიერი დაკავშირებული სუბიექტი ვალდებულია შექმნილი ან ორგანიზებული იყოს საქართველოში და აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომლებიც აღწერილია დანართი II-ის განყოფილება II-ის პარაგრაფებში „ა“-დან „გ“-მდე, გარდა დაკავშირებული სუბიექტისა, რომელიც წარმოადგენს პენსიაზე გასვლის ფონდს, ან გარდა იმ ფინანსური დაწესებულებისა, რომელსაც დაბალი ღირებულების ანგარიშები აქვს, რომელიც აღწერილია ამ განყოფილების პარაგრაფ „გ“-ში, უნდა აკმაყოფილებდეს პარაგრაფ „ბ“-ში მოცემულ ნებისმიერ მოთხოვნას.

გ. ფინანსური დაწესებულება მხოლოდ დაბალი ღირებულების ანგარიშით, საქართველოს ფინანსური დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ფინანსური დაწესებულება არ არის საინვესტიციო სუბიექტი;
2. ფინანსურ დაწესებულებას ან ნებისმიერ დაკავშირებული სუბიექტის მართულ ფინანსურ ანგარიშს არ აქვს ბალანსი ან ღირებულება, რომელიც აღემატება 50000 აშშ დოლარს, დანართ I-ში მოცემული, ანგარიშის აგრეგაციისა და ვალუტის კურსის სხვაობის წესების შესაბამისად; და
3. ფინანსურ დაწესებულებას არ აქვს 40 მილიონ ა.შ.შ. დოლარზე მეტი აქტივები ბალანსზე და ფინანსურ დაწესებულებას და ნებისმიერ დაკავშირებულ სუბიექტს ერთად, საერთო ჯამში, არ აქვს 50 მილიონ აშშ დოლარზე მეტი აქტივები მათ კონსოლიდირებულ ან გაერთიანებულ ბალანსზე.

დ. საკრედიტო ბარათის კვალიფიცირებული გამცემი, საქართველოს ფინანსური დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ფინანსური დაწესებულება არის ფინანსური დაწესებულება მხოლოდ იმიტომ რომ ის გასცემს საკრედიტო ბარათებს, რომელიც იღებს დეპოზიტებს, როდესაც კლიენტი ახორციელებს ბალანსის გადაჭარბებით გადახდას ბარათის საშუალებით და ზედმეტი გადახდა მყისიერად არ უბრუნდება კლიენტს; და
2. 2014 წლის 1 ივლისიდან ან ამ თარიღამდე პერიოდიდან მოყოლებული, ფინანსურ დაწესებულებას უნდა განახორციელოს პოლიტიკა და პროცედურები, რათა არ დაუშვას კლიენტის მიერ დეპოზიტის 50000 ა.შ.შ. დოლარისთვის გადაჭარბება ან უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი კლიენტის დეპოზიტი, რომელიც აჭარბებს 50000 ა.შ.შ. დოლარს, აუნაზღაურდება კლიენტს 60 დღის განმავლობაში, თითოეულ შემთხვევისთვის დანართ I-ში მოცემული, ანგარიშის აგრეგაციისა და ვალუტის კურსის სხვაობის წესების შესაბამისად; ამ მიზნით კლიენტის დეპოზიტი არ ეხება საკრედიტო ბალანსს სადავო დავალიანების დონეზე, მაგრამ მოიცავს საკრედიტო ბალანსს, რომელიც წარმოიშვა საქონლის დაბრუნების შედეგად.

IV. საინვესტიციო სუბიექტები, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც შესაბამისი ფინანსები მრეწველობისთვის და სხვა სპეციალური წესები. ამ ნაწილის პარაგრაფებში „ა“-დან „ე“-მდე აღწერილი ფინანსური დაწესებულებები არის ანგარიშის არ წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც უნდა ჩაითვალოს შესაბამის ფინანსებად მრეწველობისთვის შეერთებული შტატების შინაგანი შემოსავლების სამსახურის კოდექსის განყოფილება 1471-ის მიზნებისთვის. გარდა ამისა, ამ განყოფილების პარაგრაფი „ვ“ განსაზღვრავს სპეციალურ წესებს, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო სუბიექტისთვის.

ა. ნდობით აღჭურვილი პირის მიერ დოკუმენტირებული ტრასტი. საქართველოს კანონის ფარგლებში დაფუძნებული ტრასტი, სადაც ნდობით აღჭურვილი პირი ანგარიშის წარმდგენი შეერთებული შტატების ფინანსური დაწესებულებაა, ანგარიშის წარმდგენი შესაბამისი ფინანსები მრეწველობისათვის მოდელი 1, ან მონაწილე შესაბამისი ფინანსები მრეწველობისათვის და წარადგენს ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას ანგარიშში შეთანხმების შესაბამისად, ტრასტის შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშებთან მიმართებაში.

ბ. დაფინანსებული საინვესტიციო სუბიექტი და კონტროლირებული უცხოური კორპორაცია. ფინანსური დაწესებულება, რომელიც აღწერილია ამ განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(1)-სა და „ბ“(2)-ში, რომელსაც დაფინანსების სუბიექტი აქვს, რომელიც შეესაბამება ამ განყოფილების „ბ“(3) ქვეპარაგრაფში მოცემულ მოთხოვნებს.

1. ფინანსური დაწესებულება არის დაფინანსებული საინვესტიციო სუბიექტი თუ (ა) ეს არის საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო სუბიექტი, რომელიც არ არის კვალიფიცირებული როგორც შუამავალი, დამკავებელი საგარეო პარტნიორობა ან დამკავებელი უცხოური ტრასტი, შეერთებული შტატების სახაზინო დებულების შესაბამისად; და (ბ) სუბიექტი შეუთანხმდა ფინანსურ დაწესებულებას, გახდეს ფინანსური დაწესებულების დამფინანსებელი სუბიექტი.

2. ფინანსური დაწესებულება არის დაფინანსებული კონტროლირებული უცხოური კორპორაცია თუ (ა) ფინანსური დაწესებულება არის კონტროლირებული უცხოური კორპორაცია, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც არ არის კვალიფიცირებული, როგორც შუამავალი, დამკავებელი საგარეო პარტნიორობა ან დამკავებელი უცხოური ტრასტი შეერთებული შტატების სახაზინო დებულების შესაბამისად; (ბ) ფინანსური დაწესებულება სრულ საკუთრებაშია, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ანგარიშის წარმდგენი შეერთებული შტატების ფინანსური დაწესებულებისა, რომელიც თანხმდება იმოქმედოს თვითონ ან ფინანსური დაწესებულების შვილობილმა კომპანიამ, როგორც ფინანსური დაწესებულების დამფინანსებელმა სუბიექტმა და (გ) ფინანსური დაწესებულება უზიარებს ანგარიშების საერთო ელექტრონულ სისტემას დამფინანსებელ სუბიექტს, რომელიც აძლევს საშუალებას დამფინანსებელ სუბიექტს განსაზღვროს ფინანსური დაწესებულების ყველა ანგარიშის მფლობელი და გადამხდელი და ჰქონდეს წვდომა ფინანსური დაწესებულების მიერ მართულ ყველა ანგარიშსა და კლიენტის ინფორმაციაზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, კლიენტის საიდენტიფიკაციო

ინფორმაციაზე, კლიენტის დოკუმენტაციაზე, ანგარიშის ბალანსზე და ყველა გადახდაზე ანგარიშის მფლობელისთვის ან გადამხდელისათვის.

3. დამფინანსებელი სუბიექტი შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) დამფინანსებელი სუბიექტი უფლებამოსილია იმოქმედოს ფინანსური დაწესებულების სახელით (როგორცაა ფონდის მენეჯერი, ნდობით აღჭურვილი პირი, კორპორატიული დირექტორი ან მმართველი პარტნიორი) შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე არსებული გამოსაყენებელი შესაბამისი სარეგისტრაციო მოთხოვნების შესასრულების მიზნით;
- ბ) დამფინანსებელი სუბიექტი დარეგისტრირდა, როგორც დამფინანსებელი სუბიექტი შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") სარეგისტრაციო ვებგვერდზე;
- გ) თუ დამფინანსებელი სუბიექტი გამოავლენს შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშს ფინანსურ დაწესებულებასთან მიმართებაში, დამფინანსებელი სუბიექტი დაარეგისტრირებს ფინანსურ დაწესებულებას სათანადო სარეგისტრაციო მოთხოვნების თანახმად შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე 2015 წლის 31 დეკემბერს ან ამ თარიღამდე და თარიღზე, რომელიც მოდის 90 დღის შემდეგ ასეთი შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშის პირველი იდენტიფიცირებიდან;
- დ) დამფინანსებელი სუბიექტი თანახმაა იმოქმედოს ფინანსური დაწესებულების სახელით, შესაფერისი გულმოდგინებით, თავშეკავებით, ანგარიშგებით და სხვა მოთხოვნების მიხედვით, რომელიც მოეთხოვება ფინანსურ დაწესებულებას, თუ ის იქნება ანგარიშის წარმდგენი [უცხოური კორპორაცია, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს ფინანსური დაწესებულება;
- ე) დამფინანსებელი სუბიექტი განსაზღვრავს ფინანსურ დაწესებულებას და შეჰყავს ფინანსური დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომერი (მიღებული შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე არსებული გამოსაყენებელი სარეგისტრაციო მოთხოვნების შესაბამისად) ფინანსური დაწესებულების სახელით შესრულებულ ყველა ანგარიშში; და
- ვ) დამფინანსებელ სუბიექტს არ ჰქონია მისი, როგორც სპონსორის სტატუსი, გაუქმებული.

გ. დამფინანსებული, ახლომდებარე საინვესტიციო კომპანია, საქართველოს ფინანსური დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ფინანსური დაწესებულება წარმოადგენს ფინანსური დაწესებულებას მხოლოდ იმით, რომ ეს არის საინვესტიციო სუბიექტი და არ არის კვალიფიცირებული როგორც შუამავალი, დამკავებელი საგარეო პარტნიორობა ან დამკავებელი უცხოური ტრასტი, შეერთებული შტატების სახაზინო დებულების შესაბამისად;
2. დამფინანსებელი სუბიექტი წარმოადგენს ანგარიშის წარმდგენ შეერთებული შტატების ფინანსურ დაწესებულებას, მოდელ 1-ის ანგარიშის წარმდგენ შესაბამის ფინანსებს მრეწველობისათვის, ან მონაწილე შესაბამის ფინანსებს მრეწველობისთვის, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს ფინანსური დაწესებულების სახელით (როგორცაა პროფესიონალი მენეჯერი, ნდობით აღჭურვილი პირი ან მმართველი პარტნიორი) და თანახმაა იმოქმედოს ფინანსური დაწესებულების სახელით, შესაფერისი გულმოდგინებით, თავშეკავებით, ანგარიშგებით და სხვა მოთხოვნების თანახმად, რომელიც მოეთხოვება ფინანსურ დაწესებულებას, იმ შემთხვევაში თუ ის იქნება ანგარიშის წარმდგენი [უცხოური კორპორაცია, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს ფინანსური დაწესებულება;
3. ფინანსური დაწესებულება არ წარმოაჩენს თავს დაუკავშირებელი მხარეების საინვესტიციო ინსტრუმენტად;
4. ოცი ან ნაკლები ინდივიდი ფლობს ყველა სესხის წილს და კაპიტალის პროცენტს ფინანსურ დაწესებულებაში (მიუხედავად სესხის წილისა, რომელსაც ფლობს მონაწილე ფინანსები მრეწველობისთვის და შესაბამისი ფინანსები მრეწველობისთვის და კაპიტალის პროცენტი, რომელსაც ფლობს სუბიექტი, თუ ეს სუბიექტი კაპიტალის პროცენტის 100 პროცენტს ფლობს ფინანსურ დაწესებულებაში და თავადაა დაფინანსებული ფინანსური დაწესებულება პარაგრაფი „გ“-ს შესაბამისად; და
5. დამფინანსებელი სუბიექტი შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) დამფინანსებელი სუბიექტი რეგისტრირებულია, როგორც დამფინანსებელი სუბიექტი შშს-ის (IRS) "უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის" ("FATCA") ვებგვერდზე;
 - ბ) დამფინანსებელი სუბიექტი თანახმაა იმოქმედოს ფინანსური დაწესებულების სახელით, შესაფერისი გულმოდგინებით, თავშეკავებით, ანგარიშგებით და სხვა მოთხოვნების თანახმად, რომელიც მოეთხოვება ფინანსურ დაწესებულებას, თუ ის იქნება ანგარიშის წარმდგენი [უცხოური კორპორაცია, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს ფინანსური დაწესებულება და ფინანსურ დაწესებულებასთან დაკავშირებით შეგროვებულ დოკუმენტაციას ინახავს 6 წლის მანძილზე;
 - გ) დამფინანსებელი სუბიექტი განსაზღვრავს ფინანსურ დაწესებულებას ყველა ანგარიშში, რომელიც ივსება ფინანსური დაწესებულების სახელით; და
 - დ) დამფინანსებელ სუბიექტს არ ჰქონია მისი, როგორც სკონსორის სტატუსი, გაუქმებული.

დაწესებულებისა, რომლის საშუალებითაც წილი ინახება კოლექტიურ საინვესტიციო ინსტრუმენტში), ჩაითვლება შესრულებულად.

3. რაც შეეხება წილს საქართველოში დაფუძნებულ საინვესტიციო სუბიექტში, რომელიც არ არის აღწერილი ამ განყოფილების პარაგრაფ „ე“-ში ან ქვეპარაგრაფ „ვ“(2)-ში, შეთანხმების მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფს, ანგარიშის წარდგენის ვალდებულება ყველა სხვა საინვესტიციო სუბიექტისთვის ასეთი წილის გათვალისწინებით, ჩაითვლება შესრულებულად, თუ ანგარიშისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია პირველად აღნიშნული საინვესტიციო სუბიექტისთვის შეთანხმების შესაბამისად ასეთი წილის გათვალისწინებით, წარდგენილია ანგარიშის სახით ასეთი საინვესტიციო სუბიექტის ან სხვა პირის მიერ.

4. საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო სუბიექტი, რომელიც რეგულირდება როგორც კოლექტიური საინვესტიციო კომპანია, უნდა დაკვალიფიცირდეს ამ განყოფილების პარაგრაფი „ე“-ს ან ქვეპარაგრაფი „ვ“(2)-ის მიხედვით, ან, შესაბამისად ჩათვლილ ფინანსებად მრეწველობისთვის, მხოლოდ იმით, რომ კოლექტიურმა საინვესტიციო კომპანიამ გამოსცა ფიზიკური აქციები წარმომდგენის სახით, იმ პირობით, რომ:

- ა) კოლექტიურმა საინვესტიციო კომპანიამ არ გამოსცა და არ გამოსცემს ფიზიკურ აქციებს წარმომდგენის ფორმით, 2012 წლის 31 დეკემბრიდან;
- ბ) კოლექტიური საინვესტიციო კომპანია აუქმებს ასეთ აქციებს საქმიანობის დასრულების შემდეგ;
- გ) კოლექტიური საინვესტიციო კომპანია (ან ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება) კეთილსინდისიერად ასრულებს დანართ I-ში მოცემულ პროცედურებს და აცნობებს ნებისმიერ ინფორმაციას, რაც წარდგენილი უნდა იყოს ანგარიშის სახით ასეთი აქციების შესახებ, როდესაც ეს აქციები წარმოდგენილია შესყიდვის ან სხვა ანგარიშსწორებისთვის; და
- დ) კოლექტიურ საინვესტიციო კომპანიას აქვს პოლიტიკა და პროცედურები, რათა უზრუნველყოს ასეთი აქციების შესყიდვა ან იმოხილიზაცია, რაც შეიძლება სწრაფად, ნებისმიერ შემთხვევაში 2017 წლის 1 იანვრამდე.

V. ფინანსური ანგარიშებიდან გამორიცხული ანგარიშები, შემდეგი ანგარიშები გამორიცხულია ფინანსური ანგარიშების განმარტებიდან და ამიტომ არ უნდა ჩაითვალოს შეერთებული შტატების ანგარიშებას დაქვემდებარებულ ანგარიშად.

ა. კონკრეტული შემნახველი ანგარიში,

დ. ინვესტირების მრჩეველები და ინვესტირების მენეჯერები, ინვესტირების სუბიექტი, რომელიც [უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის პარტნიორში] ((საქართველო)) დაფუძნდა არის ფინანსური დაწესებულება მხოლოდ იმით, რომ ის კლიენტს (1) აწვდის საინვესტიციო რჩევას და მოქმედებს მისი სახელით ან (2) მართავს მის პორტფელს და მოქმედებს მისი სახელით, ფონდების ინვესტირების, მართვის ან ადმინისტრირების მიზნებისთვის, რომელიც დეპონირებულია კლიენტის სახელით ფინანსურ დაწესებულებაში, გარდა არამონაწილე ფინანსური დაწესებულებისა.

ე. კოლექტიური საინვესტიციო კომპანია, საინვესტიციო სუბიექტი დაფუძნებული საქართველოში, რომელიც რეგულირდება როგორც კოლექტიური საინვესტიციო კომპანია, იმ პირობით, რომ ყველა წილი კოლექტიურ საინვესტიციო ინსტრუმენტში (მათ შორის სესხის წილი, რომელიც 50000 აშშ დოლარს აჭარბებს) ეკუთვნის ერთ ან მეტ გადასახადებისგან გათავისუფლებულ მოსარგებლე მესაკუთრეს, მოქმედ ეროვნული ფედერაციის ფედერალურ თანამშრომლებს, როგორც აღწერილია დანართ I-ის VI ნაწილის ქვეპარაგრაფ „ბ“(4)-ში, შეერთებული შტატების პირი, რომელიც არ არის სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირი ან ფინანსური დაწესებულება, რომელიც არ არის არამონაწილე ფინანსური დაწესებულება.

ვ. განსაკუთრებული წესები, შემდეგი წესები ეხება საინვესტიციო სუბიექტს:

1. საინვესტიციო სუბიექტში წილთან მიმართებაში, რომელიც არის კოლექტიური საინვესტიციო კომპანია, აღწერილი ამ განყოფილების პარაგრაფ „ე“-ში (გარდა ფინანსური დაწესებულებებისა, რომელთა გავლითაც კოლექტიური ინვესტირების ინსტრუმენტში ინახება წილი) ნებისმიერი სუბიექტის მოხსენებული ვალდებულება განიხილება, როგორც შესრულებული.

2. რაც შეეხება წილს:

ა) პარტნიორ იურისდიქციაში დაფუძნებული საინვესტიციო სუბიექტი, რომელიც რეგულირდება, როგორც კოლექტიური საინვესტიციო კომპანია, სადაც მთლიანი წილი (მათ შორის სესხის წილი, რომელიც 50000 აშშ დოლარს სცილდება) ეკუთვნის ერთ ან მეტ გადასახადებისგან გათავისუფლებულ ბენეფიციარ მესაკუთრეს, აქტიურ ეროვნული ფედერაციის ფედერალურ თანამშრომლებს, რომლებიც აღწერილია დანართ I-ის VI განყოფილების ქვეპარაგრაფ „ბ“(4)-ში, შეერთებული შტატების პირები, რომლებიც არ არიან სპეციფიცირებული შეერთებული შტატების პირები ან ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც არ არიან არამონაწილე ფინანსური დაწესებულებები; ან

ბ) საინვესტიციო სუბიექტი, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც კოლექტიური საინვესტიციო კომპანია შეერთებული შტატების სახაზინო დებულების შესაბამისად;

ნებისმიერი საინვესტიციო სუბიექტის ვალდებულება ანგარიშის წარდგენისა, რომელიც არის საქართველოს ფინანსური დაწესებულება (გარდა ფინანსური

1. პენსიაზე გასვლისა და საპენსიო ანგარიში. პენსიაზე გასვლისა და საპენსიო ანგარიში საქართველოში, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
 - ა) ანგარიში ექვემდებარება რეგულაციებს, როგორც პირადი პენსიაზე გასვლის ანგარიში ან არის რეგისტრირებული ან რეგულირებული პენსიაზე გასვლის ან საპენსიო გეგმის ნაწილი საპენსიო სარგებლის გასაცემად (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობისა და გარდაცვალების სარგებელი);
 - ბ) ანგარიში შეღავათიან საგადასახადო სისტემას ექვემდებარება (მაგ. შენატანი ანგარიშზე, რომელიც სხვა შემთხვევაში დაექვემდებარებოდა საქართველოს კანონის ფარგლებში არსებულ დაგებრვას, შემცირებულია ან გამორიცხულია ანგარიშის მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან ან დაბეგრულია დაბალი მაჩვენებლით, ან დაბეგრვა საინვესტიციო შემოსავლის ანგარიშზე გადავადებულია ან დაბეგრულია დაბალი მაჩვენებლით);
 - გ) წლიური საინფორმაციო ანგარიში უნდა წარედგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში ანგარიშის შესაბამისად;
 - დ) თანხის გატანის წინაპირობაა კონკრეტული საპენსიო ასაკის მიღწევა, შეზღუდული შესაძლებლობები ან გარდაცვალება, ან ჯარიმა გამოიყენება, თუ თანხის გატანა ხდება ამ მოვლენის დადგომამდე; და
 - ე) (i) წლიური შენატანი შეზღუდულია 50000 აშშ დოლარამდე ან უფრო ნაკლებ თანხამდე ან (ii) არსებობს ცხოვრების მანძილზე შენატანის შეზღუდვა ანგარიშზე, რომელიც განისაზღვრება 1000000 აშშ დოლარამდე ან ნაკლებით, თითოეულ შემთხვევაში ექვემდებარება დანართ I-ში ანგარიშის აგრეგაციის და ვალუტის კურსის სხვაობის წესებს.
2. არასაპენსიო შემნახველი ანგარიში. ანგარიში საქართველოში (გარდა სადაზღვევო და ანუიტეტის ხელშეკრულებისა), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
 - ა) ანგარიში ექვემდებარება რეგულაციებს, როგორც შემნახველი კომპანია პენსიის გარდა მიზნებისათვის;
 - ბ) ანგარიში შეღავათიან საგადასახადო სისტემას ექვემდებარება (მაგ. შენატანი ანგარიშზე, რომელიც სხვა შემთხვევაში დაექვემდებარებოდა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში არსებულ დაბეგრვას, შემცირებულია ან გამორიცხულია ანგარიშის მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან ან დაბეგრულია დაბალი მაჩვენებლით, ან დაბეგრვა საინვესტიციო შემოსავლის ანგარიშზე გადავადებულია ან დაბეგრულია დაბალი მაჩვენებლით);

გ) თანხის გატანის წინაპირობა კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა შემნახველი ანგარიშისთვის (მაგალითად, საგანმანათლებლო ან სამედიცინო სარგებლის მიღება). ჯარიმა ირიცხება, თუ თანხის გატანა ხდება ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე; და

დ) წლიური შენატანი შეზღუდულია 50000 აშშ დოლარამდე ან უფრო ნაკლებ თანხამდე, რომლებიც იყენებს დანართ I-ში ანგარიშის აგრეგაციასა და ვალუტის კურსის სხვაობის წესებს.

ბ. კონკრეტული პერიოდის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება საქართველოში დაფარვის პერიოდით, რომელიც დასრულდება, როდესაც დაზღვეული პირი მიაღწევს 90 წლის ასაკს, იმ პირობით, რომ ხელშეკრულება აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. პერიოდული პრემიები, რომელიც არ მცირდება დროის მანძილზე, გადახდადია, მინიმუმ წლიურად ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, დაზღვეულის სიცოცხლის მანძილზე ან სანამ არ მიაღწევს 90 წლის ასაკს, რომელიც უფრო ადრე დადგება;

2. ხელშეკრულებას არ აქვს ხელშეკრულების ღირებულება, რომელსაც პირი მიიღებს (თანხის გამოტანა, სესხი ან სხვა) ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე;

3. თანხა (გარდა გარდაცვალების სარგებელისა), რომელიც ანაზღაურდება ხელშეკრულების გაუქმების ან შეწყვეტისას, არ უნდა ცდებოდეს ხელშეკრულებისთვის გადახდილ ჯამურ პრემიებს, ამცირებდეს გარდაცვალების, ავადობის, დაკისრებული ხარჯის ჯამს (მიუხედავად იმისა, ეს დაეკისრა თუ არა) ხელშეკრულების არსებობის პერიოდის ან პერიოდების მანძილზე და ნებისმიერი თანხა გადახდილი ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან შეჩერებამდე; და

4. ხელშეკრულება არ აქვს ღირებულებისათვის უფლებამოსილ პირს.

გ. ქონების მფლობელობაში არსებული ანგარიში, ანგარიში საქართველოში, რომელსაც ფლობს მხოლოდ ქონება, თუ დოკუმენტაცია ასეთი ანგარიშისთვის მოიცავს ანდერძის ან გარდაცვალების ცნობის ასლს.

დ. ესქრო ანგარიში, ანგარიში საქართველოში, რომელიც შეიქმნა შემდეგთან დაკავშირებით:

1. სასამართლო ბრძანება ან გადაწყვეტილება.

2. უძრავი ან პირადი ქონების გაყიდვა, გაცვლა ან იჯარა, იმ პირობით, რომ ანგარიში აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ანგარიში დაფინანსებულია მხოლოდ განვადების, გირაოს თანხით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულების უზრუნველსაყოფი თანხის დეპოზიტით

ან მსგავსი გადახდით, ან დაფინანსებულია ფინანსური აქტივებით, რომელიც დეპოზიტირებულია ანგარიშზე ქონების გაყიდვის, გაცვლის ან იჯარის საშუალებით;

ბ) ანგარიში შექმნილია და გამოყენებულია მხოლოდ შემსყიდველის ვალდებულების უზრუნველსაყოფად - გადაიხადოს ქონების საფასური, გამყიდველის - გადაიხადოს პირობითი ვალდებულება, ან მეიჯარის ან მოიჯარის - გადაიხადოს ზიანისთვის, რომელიც მიადგა ქონებას იჯარისას;

გ) ანგარიშის აქტივები, მათ შორის მიღებული მოგება, გადახდილი იქნება ან სხვა მხრივ განაწილდება მყიდველის, გამყიდველის, მეიჯარის ან მოიჯარის სასარგებლოდ (მათ შორის, ამ პირის ვალდებულების დასაკმაყოფილებლად), როდესაც ქონება გაყიდულია, გაცვლილია, ჩაბარებულია ან როდესაც იჯარა წყდება;

დ) ანგარიში არ არის მარჟა ან მსგავსი ანგარიში, გახსნილი ფინანსური აქტივების გაყიდვასთან ან გაცვლასთან დაკავშირებით; და

ე) ანგარიში არ არის დაკავშირებული საკრედიტო ბარათის ანგარიშთან.

3. ფინანსური დაწესებულების ვალდებულება, რომელიც გასცემს სესხს უძრავი ქონების უზრუნველყოფით, რათა გამოყოს გადახდის ნაწილი გადასახადების გადახდის ხელშესაწყობად ან მოგვიანებით, უძრავი ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით.

4. ფინანსური დაწესებულების ვალდებულება, ხელი შეუწყოს მოგვიანებით გადასახადების გადახდას.

ე. პარტნიორი იურისდიქციის ანგარიში. ანგარიში, რომელიც შენახულია საქართველოში და არ შედის ფინანსური ანგარიშის განმარტებაში, შეერთებულ შტატებსა და სხვა პარტნიორ იურისდიქციას შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის განხორციელების ხელშესაწყობად, იმ პირობით, რომ ასეთი ანგარიში ექვემდებარება იგივე მოთხოვნებს და ზედამხედველობას ხვა პარტნიორი იურისდიქციის კანონის ფარგლებში, როგორც ანგარიში შექმნილი იმ პარტნიორ იურისდიქციაში და მართული პარტნიორი იურისდიქციის ფინანსური დაწესებულების მიერ ამ პარტნიორ იურისდიქციაში.

VI. განმარტებები. შემდეგი დამატებითი განმარტებები გამოიყენება ზემოთ მოყვანილ აღწერებთან:

ა. ანგარიშის წარმდგენი მოდელი 1-ის ფინანსები მრეწველობისთვის. ტერმინი ანგარიშის წარმდგენი მოდელი 1-ის ფინანსები მრეწველობისთვის გულისხმობს ფინანსურ დაწესებულებას, სადაც არა შეერთებული შტატების მთავრობა ან სააგენტო თანხმდება მოიპოვოს ან გაცვალოს ინფორმაცია მოდელ 1-ის მთავრობათაშორის შეთანხმების

შესაბამისად, გარდა ფინანსური დაწესებულებისა, რომელიც ითვლება არამონაწილე ფინანსურ დაწესებულებად მოდელ 1-ის მთავრობათაშორის შეთანხმებაში. ამ განმარტებისთვის, ტერმინი მოდელი 1-ის მთავრობათაშორისი შეთანხმება ნიშნავს შეთანხმებას შეერთებულ შტატებს ან სახაზინო დეპარტამენტსა და არა შეერთებული შტატების მთავრობას ან ერთ ან რამდენიმე სააგენტოს შორის, რათა განახორციელონ „უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტი“ (FATCA) ფინანსური დაწესებულებების ანგარიშგების საშუალებით, ასეთ არა შეერთებული შტატების მთავრობასთან ან სააგენტოსთან, რომელსაც თან სდევს ამ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა შშს-ის (IRS) საშუალებით.

- ბ. მონაწილე ფინანსები მრეწველობისთვის, ტერმინი მონაწილე ფინანსები მრეწველობისთვის გულისხმობს ფინანსურ დაწესებულებას, რომელიც თანხმდება დაემორჩილოს მრეწველობისთვის ფინანსების შეთანხმების მოთხოვნებს, მათ შორის, ფინანსური დაწესებულება აღწერილი მოდელ 1-ის მთავრობათაშორისო შეთანხმებაში, რომელიც თანახმაა დაემორჩილოს მრეწველობისთვის ფინანსების შეთანხმების მოთხოვნებს. ტერმინი მონაწილე ფინანსები მრეწველობისათვის ასევე მოიცავს ანგარიშის წარმდგენი შეერთებული შტატების ფინანსური დაწესებულების შუამავლად კვალიფიცირებულ ფილიალს, თუ ასეთი ფილიალი არ არის ანგარიშის წარმდგენი მოდელი 1-ის ფინანსები მრეწველობისათვის. ამ განმარტებისთვის, ტერმინი ფინანსები მრეწველობისთვის შეთანხმება აღნიშნავს შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს ფინანსური დაწესებულებისთვის, რომ ის ჩაითვალოს, როგორც შეერთებული შტატების შინაგანი შემოსავლების სამსახურის კოდექსის განყოფილება 1471(ბ)-ს მოთხოვნების დამაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, ამ განმარტებისთვის ტერმინი მოდელი 2-ის მთავრობათაშორისო შეთანხმება ნიშნავს შეთანხმებას, შეერთებულ შტატებს ან სახაზინო დეპარტამენტსა და არა შეერთებული შტატების მთავრობას ან ერთ ან რამდენიმე სააგენტოს შორის, რათა განახორციელონ „უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტი“ (FATCA) ფინანსური დაწესებულებების ანგარიშგების საშუალებით, პირდაპირ შშს-ისთან (IRS) ფინანსები მრეწველობისთვის შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, დამატებული ასეთ არა შეერთებული შტატების მთავრობასთან ან სააგენტოს და შშს-ს (IRS) შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებით.



საგარეო ურთიერთობების სამინისტროს
საგარეო ურთიერთობების განყოფილება

თარგმნის ბიურო

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0182/6-15

თარიღი/DATE 13.07.2015

დამწმინდა/CERTIFIED BY

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia